

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №38
2021 წლის 24 სექტემბერი

ქ. დმანისი

„დმანისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 24-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის თანახმად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „დმანისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 დეკემბრის №24 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 25/12/2020, სარეგისტრაციო კოდი: 190020.35156.016402) და დადგენილების 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6; მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-13 და მე-19 მუხლები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

თავი I. დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

№	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
I	I. შემოსავლები	17 502,3	16 539,8	6 184,9	10 354,9	18 394,7	11 732,4	6662,3
1,1	გადასახადები	6 806,7	6 719,9	0,0	6 719,9	8 592,4	8 592,4	0,0
1,3	გრანტები	5 965,8	6 184,9	6 184,9	0,0	6662,3	0,0	6662,3
1,4	სხვა შემოსავლები	4 729,8	3 635,0	0,0	3 635,0	3 140,0	3140,0	0,0
II	II. ხარჯები	5 565,5	5 773,8	375,5	5 398,3	7396,3	6925,3	471,0
2,1	შრომის ანაზღაურება	1416	1 443,0	71,8	1 371,2	1 815,4	1 743,6	71,8
2,2	საკონელი და მომსახურება	1611,3	1 845,8	231,3	1 614,5	2434,9	2090,9	344,0



2,4	პროცენტი	27,8	31,8		31,8	31,0	31,0	0,0
2,5	სუბსიდიები	1800,1	1 813,8	52,2	1 761,6	2 256,3	2 202,1	54,2
2,6	გრანტები	25,0	29,0	0,0	29,0	25,0	25,0	0,0
2,7	სოციალური უზრუნველყოფა	481,1	498,9	2,0	496,9	707,8	706,8	1,0
2,8	სხვა ხარჯები	204,2	111,5	18,2	93,3	125,9	125,9	0,0
III	III .საოპერაციო სალდო	11 936,8	10 766,0	5 809,4	4 956,6	10998,4	4807,1	6 191,3
IV	IV.არაფინანსური აქტივების ცვლილება	9 594,0	18 248,3	8 192,0	10 056,3	15904,8	8372,8	7 532,0
	ზრდა	9 656,0	18 248,3	8 192,0	10 056,3	15904,8	8372,8	7 532,0
	კლება	62,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
V	V.მოლიანი სალდო	2 342,8	-7 482,3	-2 382,6	-5 099,7	-4 906,4	-3 565,7	-1 340,7
VI	VI. ფინანსური აქტივებისცვლილება	0,0	-7 492,2	-2 382,6	-5 109,6	-4 962,0	-3 621,3	-1 340,7
	ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
32.1.2	ვალუტა და დეპოზიტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	კლება	0,0	7 492,2	2 382,6	5 109,6	4 962,0	3 621,3	1 340,7
	ვალუტა და დეპოზიტები	0,0	7 492,2	2 382,6	5 109,6	4 962,0	3 621,3	1 340,7
32.1.4	სესხები							
32.1.5	აქციები და სხვა კაპიტალი							
32.1.8	სხვა დებიტორული დავალიანებები							
VII	VII ვალდებულებების ცვლილება	0,0	-55,6	0,0	-55,6	-55,6	-55,6	0,0
	ზრდა							0,0
33,1	საგარეო							
	საშინაო	0,0						
	კლება	0,0	55,6	0,0	55,6	55,6	55,6	0,0
33,1	საგარეო							
	საშინაო	0,0	55,6	0,0	55,6	55,6	55,6	0,0
VIII	VIII ბალანსი	0,0				0,0	0,0	0,0



მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები	17564,2	16595,4	10410,5	6184,9	18394,7	11732,4	6662,3
შემოსავლები	17502,2	16539,8	10354,9	6184,9	18339,1	11676,8	6662,3
არაფინანსური აქტივების კლება	62,0	55,6	55,6	0,0	55,6	55,6	0,0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
გადასახდელები	15187,4	24087,6	15520,1	8567,5	23356,7	15353,7	8003,0
ხარჯები	5565,6	5783,7	5408,2	375,5	7396,3	6925,3	471,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	9594,0	18248,3	10056,3	8192	15904,8	8372,8	7532,0
ვალდებულებების კლება	27,8	55,6	55,6	0,0	55,6	55,6	0,0
ნაშთის ცვლილება	2376,8	-7492,2	-5109,6	-2382,6	-4962,0	-3621,3	-1340,7

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 18394,7 ათასი ლარი.

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის გეგმა		
		სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	17502,2	16539,8	10354,9	6184,9	18394,7	11732,4	6662,3
გადასახდელები	6806,7	6719,9	6719,9	0,0	8592,4	8592,4	0,0
გრანტები	5965,8	6184,9	0,0	6184,9	6662,3	0,0	6662,3
სხვა შემოსავლები	4729,7	3635,0	3635,0	0,0	3140,0	3140,0	0,0



მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 8592,3 ათასი ლარით:

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
გადასახადები	1630,5	6719,9	6719,9	0,0	8592,4	8592,4	0,0
დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ)		5269,9	5269,9	0,0	7192,4	7192,4	0,0
საშემოსავლო გადასახადი	0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ქონების გადასახადი	1630,5	1450,0	1450,0	0,0	1400,0	1400,0	0,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1001,7	1000,0	1000,0	0,0	950,0	950,0	0,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)							
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	597,9	440,0	440,0	0,0	440,0	440,0	0,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	27,8	10,0	10,0	0,0	10,0	10,0	0,0
სხვა გადასახადები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 6662,3 ათასი ლარით:

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
გრანტები	5965,8	6184,9	6662,3
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	5965,8	6184,9	6662,3
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	496,4	995,6	365,1
გათანაბრებითი ტრანსფერი	0	0,0	0,0



მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	496,4	995,6	365,1
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	5469,4	5189,3	4218,6
საქ.რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	4365,7	4042,6	3532,6
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	686	686	686,0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის თანხები	0,0		
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი	417,7	0,0	0,0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	0	460,7	0,0
სახელმწიფო პროგრამა "განახლებული რეგიონები"			2078,6

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 3140,0ათასი ლარით:

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
სხვა შემოსავლები	4729,8	3635,0	3635,0	0,0	3140,0	3140,0	0,0
შემოსავლები საკუთრებიდან	4441,2	3115,0	3115,0	0,0	2950,0	2950,0	0,0
პროცენტები	293,0	200,5	200,5	0,0	160,0	160,0	0,0
რენტა	4148,2	2914,5	2914,5	0,0	2790,0	2790,0	0,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	3981,2	2694,5	2694,5	0,0	2381,0	2381,0	0,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	167,0	220,0	220,0	0,0	409,0	409,0	0,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	40,0	85,0	85,0	0,0	70,0	70,0	0,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	29,4	35,0	35,0	0,0	20,0	20,0	0,0
სანებართვო მოსაკრებელი	15,7	4,0	4	0,0	4	4	0,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1,8	1,0	1,0	0,0	1	1,0	0,0



ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	11,9	30,0	30	0,0	15	15	0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0,0	0,0		0	0		0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	10,6	50,0	50,0	0,0	50,0	50,0	0,0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0,0	0,0	0,0	0,0	0,0		0,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	10,6	50,0	50	0,0	50,0	50,0	0,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	116,8	100,0	100,0	0,0	80,0	80,0	0,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	131,8	335,0	335,0	0,0	40,0	40,0	0,0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 7396,3 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	5565,5	5783,7	5408,2	375,5	7396,3	6925,3	471,0
შრომის ანაზღაურება	1416	1443,0	1371,2	71,8	1815,4	1743,6	71,8
საქონელი და მომსახურება	1611,3	1845,8	1614,5	231,3	2434,9	2090,9	344,0
პროცენტი	27,8	31,8	31,8	0,0	31,0	31,0	0,0
სუბსიდიები	1800,1	1826,0	1773,8	52,2	2256,3	2202,1	54,2
გრანტები	25,0	29,0	29,0	0,0	25,0	25,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	481,1	496,6	494,6	2,0	707,8	706,8	1,0
სხვა ხარჯები	204,2	111,5	93,3	18,2	125,9	125,9	0,0

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 15904,8 ათასი ლარით.



მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა – **15904,8** ათასი ლარით.

ათას ლარი

კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	280,2	107,5	150,0
0101	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	280,2	102,50	145,0
0102	საერთო დანიშნულების ხარჯები	0,0	5,0	5,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8852,9	17343,0	15386,8
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	4405,2	7254,9	2264,8
02 02	წყლის სისტემების განვითარება	2,9	1879,2	3750,1
02 03	გარე განათება	639,0	558,3	266,4
0204	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	1639,2	3373,1	3932,3
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1026,4	2027,9	3228,4
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	1140,2	1196,2	1342,5
02 07	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	0,0	1053,4	602,3
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	0,0	64,4	295,6
0301	დასუფთავება და ნარჩენების მართვა	0,0	0,0	0,0
0302	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	0,0	0,0	0,0
0303	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	0,0	64,4	295,6
0304	უპატრონო ცხოველების მოვლთი ღონისძიებები	0,0	0,0	0,0
04 00	განათლება	496,8	719,1	62,6
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	18,1	0,0	0,0
0402	საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება	0,0	0,0	0,0
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	478,7	719,1	62,6
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	26,1	11,8	9,8
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	0,0	0,0	0,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	26,1	11,8	9,8
05 03	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივ საქმიანობა	0,0	0,0	0,0
06 00	სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები	0,0	2,5	0,0



სულ ჯამი	9656,0	18248,3	15904,8

ათას ლარში

	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
	არაფინანსური აქტივების კლება	5,0	0,0	0,0
	ძირითადი აქტივები	0,0	0,0	0,0
	არაწარმოებული აქტივები	5,0	0,0	0,0
	მიწა	5	0,0	0,0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2019წ	2020წ	2021წ
701	I.საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2666,2	2615,4	3183,8
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2666,2	2559,8	3053,4
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2666,2	2559,8	3053,4
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,0	55,6	55,6
702	II. თავდაცვა	75,7	75,8	74,8
7021	სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური	75,7	75,8	74,8
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0,0	0,0	0,0
704	IV. ეკონომიკური საქმიანობა	4599,4	7503,1	2593,0
70421	სოფლის მეურნეობა	0,0	0,0	0,0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4599,4	7503,1	2593,0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	0,0	0,0	0,0
705	V. გარემოს დაცვა	376,4	599,1	945,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	376,4	509,7	600,0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	880,8	0,0	0,0



7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	0,0	89,4	345,0
706	VI. საბინაო კომუნალური მეურნეობა	4753,3	10455,3	13709,1
7061	ბინათმშენებლობა	1736,3	3391,3	3932,3
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0,0	0,0	0,0
7063	წყლის სისტემების განვითარება	96,4	2002,6	3375,9
7064	გარე განათება	639,0	708,3	636,4
7066	სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	2281,6	4353,1	5764,5
707	VII. ჯანმრთელობის დაცვა	51,4	67,1	54,2
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	51,4	67,1	54,2
708	VIII. დასვენება, კულტურა და რელიგია	751,9	682,4	842,6
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	171,5	144,0	190,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	530,4	488,4	555,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	50,0	50,0	50,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0,0	0,0	47,6
709	IX. განათლება	1430,0	1424,4	1116,3
7091	სკოლამდელი განათლება	529,5	426,2	650,0
7096	საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება	69,9	76,8	82,7
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	830,6	921,4	383,6
710	X. სოციალური დაცვა	545,0	665,1	912,7
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	112,6	200,0	200,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	1,0	2,0	1,0
7107	სოციალური გაუცხოვების საკითხები რომელიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	65,3	81,0	86,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	366,1	382,1	625,7
	სულ	15249,3	24087,7	23356,7

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 4906,4ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 10998,4 ათასი ლარით:

		2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა



დასახელება	2019 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
III. საოპერაციო საღდო	11 936,7	10 766,0	5 809,4	4 956,6	10998,4	4807,1	6 191,3
V. მთლიანი საღდო	2342,7	7492,2	2382,6	5109,6	4906,4	3565,7	1340,7

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 4962,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	0,0	7547,8	2382,6	5165,2	4962,0	3621,3	1340,7
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	0,0	7547,8	2382,6	5165,2	4962,0	3621,3	1340,7
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	7547,8	2382,6	5165,2	4962,0	3621,3	1340,7

ფინანსური აქტივების კლება 4962,0 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო არნგარიშზე არსებულ თავისუფალ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2021 წლის განმავლობაში.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 55.6 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2019 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტის სასახო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 305794 ლარს, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იქნება 250194 ლარი, სესხზე დარიცხული პროცენტის სავარაუდო ოდენობა შეადგენს 88376 ლარს, მათ შორის 2021 წელს გადასახდელია 28112 ლარი.



თავი II. დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 16302,1 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	16302,1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2593,0
020101	გზების მიმდინარე მოვლა-შენახვა	328,2
020102	გზების მშენებლობა რეაბილიტაცია	2264,8
02 02	წყლის სისტემების განვითარება	3375,9
020201	სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია (მოვლა-შენახვა)	179,8
020202	სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია	3196,1
02 03	გარე განათება	636,4
020301	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	0,0
020302	გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი	370,0
020303	კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში	266,4
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	3932,3
020401	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია	3932,3
020402	ავარიული ობიექტების შენობების რეაბილიტაცია (ბინათმშენებლობა)	0,0
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	3782,4
020501	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	3782,4
020502	შადრევან-აუზების ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია	0,0
020503	სასაფლაოების მოწყობა მოვლა-პატრონობა, სარიტუალო ღონისძიებები	0,0
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები	1379,8
02 07	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	602,3

პროგრამის დასახელება	კოდი 0201	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2021 წლის დაფინანსება
			2593,0



პროგრამის განმახორციელებელ	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შიდა გზების მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას, როგორცაა გზების (ორმული) და ფრაგმენტული შეკეთება, გზების ქვიშა- ხრეშოვანი მასალის მოწყობა, ქუჩების ტროტუარების მიმდინარე კაპიტალური შეკეთება, გზებზე ასფალტ/ ბეტონის დაზიანებულიმონაკვეთებზე ბზარების დამუშავება. პროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა. გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ქუჩებისა და გზების განტვირთვას სატრანსპორტო ნაკადისაგან და ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას.. მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებიდან გამომდინარე მაინც არის მნიშვნელოვანი სამუშაოს განხორციელების აუცილებლობა. მუნიციპალიტეტში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზების და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითი ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება.
მოსალოდნელი შედეგები	– მუნიციპალიტეტის საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა, – მოდერნიზებული და რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა, – მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

პროგრამის დასახელება	კოდი	გზების მიმდინარე მოვლა-შენახვა	2021 წლის დაფინანსება	
	020101		328,2	
პროგრამის განმახორციელებელ		მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი		გზის საფარის მდგომარეობის შენარჩუნება. ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების ხარისხიანი შენარჩუნება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ასფალტის გზის გზის საფარი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ არის დაზიანებული, პროექტის მიზანია განხორციელდეს გზის დაზიანებული საფარის ორმოული შეკეთება, ასევე წლის განმავლობაში დაზიანების შემთხვევაში ოპერატიულად განხორციელდეს გზის სავალი ნაწილის მონიშვნა ნიშანსაღები საღებავით, ბზარების ამოვსება ა/ზ ნარევით, მოთხოვნის შემთხვევაში აუცილებლობიდან გამომდინარე სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების და საგზაო ნიშნების მოწყობა.		
მოსალოდნელი შედეგები		შენარჩუნებული ასფალტის საფარი		



პროგრამის დასახელება	კოდი 020102	გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება
			2264,8
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საფარი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ არის დაზიანებული, პროექტის მიზანია თანდათანობით განხორციელდეს გზების სრული რეაბილიტაცია, ასევე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მომავალი წლებში რეაბილიტაციისთვის საჭირო პროექტების შესყიდვა და რეაბილიტირებული პროექტების ზედამხედველობა.		
მოსალოდნელი შედეგები	რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული მიმოსვლა		

პროგრამის დასახელება	კოდი 020201	სასმელი წყლის სისტემების ექსპლუატაცია (მოვლა-შენახვა)	2021 წლის დაფინანსება
			179,8
პროგრამის განმახორციელებელი		მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი		მუნიციპალიტეტის სოფლებისთვის წყლის მიწოდების სერვისის გამართული ფუნქციონირება. პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ დმანისში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამის მიზანია: – მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება; – მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს; – წყლის სისტემების ექსპლუატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან: სასმელი წყლის ექსპლუატაციის ქვეპროგრამა და სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა. ექსპლუატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები და შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, რომელიც ემსახურება ქალაქ დმანისს და 12 სოფელს, ხოლო დანარჩენ სოფლებს მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია.	
მოსალოდნელი შედეგები		– მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობს სასმელი წყლის 24 საათიანი გრაფიკი, – მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს სასმელ წყალზე აქვს შეუფერხებელი წვდომა, – აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებს გამართულად, წყლის სისტემაში პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.	



--	--

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	2021 წლის დაფინანსება
	0203		636,4
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართულ გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო თანხები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქალაქ დმანისში და 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტებში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 90%. გარე განათების ქსელი მოიცავს ---- ზე მეტ განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, ---ზე მეტ სანათ წერტილს, ----- გრძელ მეტრზე სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 120,0 ათას ლარში ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურებას. პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან, ესენია: – გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია, – კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში. გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური / ინფრასტრუქტურის ხასიათის, ასევე მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელისგაფართოება- გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი -- გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მათ შორის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას). ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში--- მრავალწლიანი. 2020 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამაზე. ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან და კაპიტალური დანახარჯებიდან.		
მოსალოდნელი შედეგები	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში, შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება, შედეგად, მუნიციპალიტეტის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათების ქსელი, განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად დაფარვა გარე განათებით.		

პროგრამის დასახელება	კოდი 020302	გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი	2021 წლის დაფინანსება
			370,0
პროგრამის განმახორციელებელი		მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	



პროგრამის აღწერა და მიზანი	დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქალაქ დმანისში და 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: – მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა. – ამორტიზირებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება. – დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას (120.0 ათასი ლარი).
მოსალოდნელი შედეგები	გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 90%.

პროგრამის დასახელება	კოდი 020303	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	2021 წლის დაფინანსება
			266,4
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია, – კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში. გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური / ინფრასტრუქტურის ხასიათის, ასევე მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელისგაფართოება- გაუმჯობესების ღონისძიებებს, . ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში--- მრავალწლიანი. 2020 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამაზე. ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან და კაპიტალური დანახარჯებიდან.		
მოსალოდნელი შედეგები	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში, შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება, შედეგად, მუნიციპალიტეტის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათების ქსელი, განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად.		

	კოდი	2021 წლის დაფინანსება
--	------	-----------------------



პროგრამის დასახელება	0205	კეთილმოწყობის ღონისძიებები	3782,4
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია და აგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა, მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენების და გართობის ადგილების შექმნის მიზნით.		
მოსალოდნელი შედეგები	კეთილმოწყობილია მუნიციპალიტეტი, მოსახლეობას აქვს დასვენების და გართობის ზონა		

პროგრამის დასახელება	კოდი 020501	საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობა	2021 წლის დაფინანსება 3782,4
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	სკვერების და პარკების მოწყობა, რეაბილიტაცია; ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია და აგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა		
მოსალოდნელი შედეგები	შექმნილია დასვენების და გართობის ახალი კერები		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 945.0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი,პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის პროექტი
	დასუფთავება და	



03 00	გარემოს დაცვა	945,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	600,0
03 01 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა ა(ა)იპ "დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური"	600,0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	0,0
03 03	კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში	320,0
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	25,0

პროგრამის დასახელება	კოდი 03 01 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2021წლის დაფინანსება
			600,0
პროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ – დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი		დმანისი მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შეძენა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები. დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორიცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან. პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ -დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 2 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის ქალაქში და სოფლებში.რომლის გატანაც ხდება მერიის მიერ გამოყოფილ სპეციალურ ნაგავსაყრელზე. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 40 მ/კუბ ნარჩენი რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 2 ნაგავმზიდი. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ – დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის ხელფასებს.	
მოსალოდნელი შედეგები		მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქ. დმანისის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა; დასუფთავდება მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები .	



პროგრამის დასახელება	კოდი 03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	2021 წლის დაფინანსება
			320,0
პროგრამის განმახორციელებელი		მუნიციპალიტეტის მერია	
პროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამა გულისხმობს ნაგავმზიდი მანქანების და ნაგვის კონტეინერების შეძენას, რათა ნელნელა სრულად მოხდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ათვისება	
მოსალოდნელი შედეგები		შეძენილი ურნები და ნაგავმზიდი მანქანები	

პროგრამის დასახელება	კოდი 03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები		2021 წლის დაფინანსება
				25.0
პროგრამის განმახორციელებელი			მუნიციპალიტეტის მერია	
პროგრამის აღწერა და მიზანი			პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა	
მოსალოდნელი შედეგები			დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნება მაწანწალა ძაღლები, მოსახლეობა დაცულია მაწანწალა ცხოველებისაგან.	

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 980,0 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამის უნიკოდი	დასახელება	2021 წლის პროექტი
04 00	განათლება	1116,3
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	650,0
04 01 01	სკოლამდელი აღზრდის სამსახური ა(ა)იპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახური“	650,0



04 02	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	82,7
04 02 01	საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება ა(ა)იპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი	82,7
04 03	საჯარო სკოლების დაფინანსება	383,6

პროგრამის დასახელება	კოდი 04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2021 წლის დაფინანსება 650,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ – დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. დმანისის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 9 საბავშვო ბაღი, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ააიპ "დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახური". სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 49 თანამშრომელი, მათ შორის 16 აღმზრდელი და 12 თანამშემე, ხოლო ირიცხება 340 აღსაზრდელი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბავშვის ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, ბავშვის პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა. ბავშვში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, რომელიც იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონის მოთხოვნებისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები/ აგრეთვე საბავშვო ბავშვში არსებული სანიტარიული და ჰიგიენური ნორმები შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან ბავშვში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმების შესაბამისად; საბავშვო ბავშვში ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და გაუმჯობესება. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონის შესაბამისად ააიპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურის“ დაქვემდებარებაში შემავალ საბავშვო ბავშვში დაწყებულია მზადება ავტორიზაციისათვის, რომლის ხუთი კომპონენტიდან ერთ-ერთი მოთხოვნაა საკმარისი რაოდენობის მომსახურე პერსონალის არსებობა. საბავშვო ბავშვში დარღვეულია კანონის მე-20 და 22-ე მუხლები, ჯგუფების მოცულობისა და აღმზრდელების ბავშვებთან თანაფარდობა. ამიტომ ერთ-ერთი აუცილებელი პრიორიტეტია : არასაკმარისი სამტატო განრიგის ზრდა და აუცილებელი პერსონალით უზრუნველყოფა. ბავშვში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება, ქვეპროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელის შეწყობა; საბავშვო ბავშვში სწავლების ხარისხის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის სხვადასხვა დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტის მიზანია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში მიმდინარე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება. საბავშვო ბავშვში შესწავლილი იქნა არსებულ ბავშვში სწავლების ხარისხი და დადგინდა რომ სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელები (განხილული ასაკობრივ ჭრილში) ვერ აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტს, რაც ძირითადად აღმზრდელების დაბალი		

	კვალიფიკაციით არის გამოწვეული. სწავლების ხარისხის გაზრდა და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება მოხდება სკოლამდელი აღზრდის განვითარების პროგრამით. პროგრამა მოიცავს: არსებული მდგომარეობის შესწავლას და გაანალიზებას; საბავშვო ბაღების აღმზრდელებისთვის მაღალი სტანდარტის ტრენინგ-კურსების მომსახურების შესყიდვას და სხვა ღონისძიებებს. ასევე ახალი საგანმანათლებლო რესურსის შესყიდვას და სხვა.
მოსალოდნელი შედეგები	შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები; სტანდარტების შესაბამისი გარემო

პროგრამის დასახელება	კოდი 04 02 01	განათლების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება 82,7
პროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ — დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი	
პროგრამის აღწერა და მიზანი		მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენისა და უცხო ენების შესწავლის ხელშეწყობა,მათ შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების სახელმწიფო ენის სწავლის ხელშეწყობა და მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში. სახელმწიფო ენის ცოდნისა და ზოგადი განათლების დონის ამაღლება, ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი ინტერესისა და პატრიოტიზმის გრძნობის გაღვივება,ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. ქვეპროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო ცენტრი აწარმოებს ქართული ენის, ინგლისური ენისა და საქართველოს ისტორიის შესწავლას. პროგრამა არის ერთწლიანი და ხდება თანმიმდევრული შესწავლა დონეების მიხედვით(ინდივიდუალური მიდგომა). ცენტრში დასაქმებულია 9 ადამიანი და ჰყავს 157 ბენეფიციარი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი. პროგრამის ფარგლებში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობის დაფინანსებით მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი, რომელიც მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებიდან ახდენს მათ ტრანსპორტირებას. საგანმანათლებლო ცენტრში იგეგმება საქართველოს ისტორიის მოკლე პროგრამის სწავლება.	
მოსალოდნელი შედეგები		სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება, სხვადასხვა ეთნოსის მოსახლეობის ინტეგრაცია	

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 842,6 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის პროექტი
05 00	კულტურა,რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	842,6
05 01	სპორტული სფეროს განვითარება	202,6
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა ა(ა)იპ „ომარ მუმლაძის სახელობის სპორტული სკოლა“	190,0



05 01 02	სპორტული ღონისძიებები	12,6
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	590,0
05 02 01	კულტურული სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა ა(ა)იპ "დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი"	360,0
05 02 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა ა(ა)იპ "დმანისის სამუსიკო სკოლა"	100,0
05 02 03	საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა ა(ა)იპ „დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური"	95,0
05 02 04	კულტურული ღონისძიებები	35,0
05 03	რელიგიური ორგანიზაციის ხელშეწყობა	50,0
05 04	ინიციატივების თანადაფინანსება	0,0

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება
	05 01 01		190.0
პროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ – ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა	
პროგრამის აღწერა და მიზანი		ააიპ " ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა" - უზრუნველყოფს სპორტული სექციების მუშაობას 8 სპორტის სახეობის მიმართულებით 5 სპორტულ ობიექტზე 25 მწვრთნელის მეშვეობით, რომლებიც ემსახურებიან სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის (6 დან – 18 წლამდე). სკოლაში რიცხულია 192 ბენეფიციარი. მოქმედებს შემდეგი სპორტული წრეები: ჭიდაობა- ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭიდაობა – ქართული, ჭიდაობა – სამბო, ჭადრაკი, ფეხბურთი, კრივი და კარატე. სკოლა გეგმავს და ახორციელებს სპორტულ ღონისძიებებს, როგორც სამოყვარულო, ასევე პროფესიული სპორტის მიმართულებით ყველა ასაკობრივ ჯგუფში; სკოლა გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის და პოპულარიზაციის მიმართულებით, უზრუნველყოფს ცენტრში სპორტულ სექციებზე მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ.	
მოსალოდნელი შედეგები		სპორტში დმანისელი ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა, მათი ფიზიკური განვითარების ღონის ამაღლება, პერსპექტიული სპორტსმენების აღზრდა	

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება
	05 01 02		12,6
პროგრამის განმახორციელებელი		მუნიციპალიტეტის მერია	



პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია სპორტის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში ჩატარდება ტურნირები თუ სახელობითი თასის შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, აღინიშნება ევროპის სპორტის კვირეული. დაიგეგმება სხვადასხვა აქტივობები სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. ამასთან, დაფინანსდება სასკოლო სპორტული ოლიმპიადები სადაც მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა სკოლის მოსწავლე იქნება ჩართული. მოხდება წარმატებული სპორტსმენებთან შეხვედრების ორგანიზება, ასევე უზრუნველყოფილი იქნება მათ მიერ გამართულ მასტერკლასებზე ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობა. განსაზღვრული ბიუჯეტი მოხმარდება ფორმების, თასების, სიგელებისა და სხვა სპორტული ინვენტარის შეძენას.
მოსალოდნელი შედეგები	მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა ცხოვრების ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასა და სპორტულ ცხოვრებაში.

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს დაწესებულების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება
	05 02 01		360,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ – დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ააიპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულებები, მათ შორის ქართული ხალხური რეწვის (თექა და ხეზე კვეთა), ხატვის, ფოლკლორული (სიმღერა და ცეკვა), ხალხური საკრავების, საგალობლების, საესტრადო, სამეჯლისო და სპორტული ცეკვების და თეატრალური სტუდიები და ასევე ფოლკლორული ანსამბლები (ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი "შგარიდა", ქალთა ფოლკლორული ანსამბლი "ირინოლა", ინტერნაციონალური ანსამბლი "დმანისური აისი"). ცენტრში დასაქმებულია 56 თანამშრომელი (ადმინისტრაცია, სტუდიების ხელმძღვანელები, ანსამბლების წევრები და სხვ.) სტუდიებში დღეისათვის დადის 324 ბავშვი. ცენტრში ფუნქციონირებს არქეოლოგიური საექსპოზიციო დარბაზი, სადაც განთავსებულია 600-ზე მეტი ექსპონატი. საექსპოზიციო დარბაზის მნახველთა რაოდენობა წლის განმავლობაში საშუალოდ 1200-1500-ია. ცენტრში ასევე ფუნქციონირებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარება და პოპულარიზაცია. კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსება მიმდინარე წელს 310.9 ლარია, აქედან მშობელთა შემონატანები და ნაშთი (2020.01.01.) შეადგენს 9500 ლარს. ცენტრის მიზანია, დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის მომზადება და ჩაბმა ხალხურ შემოქმედებაში, ფოლკლორულ – ეთნოგრაფიულ კოლექტივებში, სახელოვნებო და სხვა წრეებში; დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ფოლკლორული, შემოქმედებითი პროფესიული ანსამბლების და სხვა სახელოვნებო სტუდიების, ცენტრის მუზეუმისა და ტურისტული საქმიანობის ორგანიზება, კოორდინაცია და ხელშეწყობა; სახვითი ხელოვნების (ფერწერა, გრაფიკა, ხატვა) ხალხური რეწვის(თექის დამუშავება, ქსოვა, ქარგვა. ხეზე კვეთა) ოსტატების, ხალხური მთქმელების გამოვლენა და ხელშეწყობა შემოქმედებით საქმიანობაში; განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და ხელშეწყობა მათი განვითარებისათვის; ზოგადად ახალგაზრდობაში ესთეტიური გემოვნების ჩამოყალიბება და მათი აღზრდა – განათლება ქართული ტრადიციების შესაბამისად. ქვეპროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, სახალხო დღესასწაულების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას; დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული ფოლკლორული ანსამბლების, სახვითი ხელოვნების (ფერწერა, გრაფიკა, ხატვა) ხალხური რეწვის(თექის დამუშავება, ქსოვა, ქარგვა. ხეზე კვეთა) ოსტატების, ხალხური მთქმელების გამოვლენას და მათი ხელშეწყობას შემოქმედებით საქმიანობაში; ასევე განსაკუთრებული და გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენას და ხელშეწყობას მათი განვითარებისათვის. სამუზეუმო და ტურისტული საქმიანობის განვითარებას. კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის		



	მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას, ასევე სასწავლო – სარეპეტიციო პროცესში სოფლად მცხოვრები ბავშვების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას. ქვეპროგრამის მიზანია ცენტრის გამართული ფუნქციონირება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ცენტრის სტუდიების აღჭურვა სასწავლო-სარეპეტიციო მასალებით და ინვენტარით და სხვ.
მოსალოდნელი შედეგები	ქვეპროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყობა ცენტრის გამართულად ფუნქციონირებას, მოსწავლეთა რაოდენობის, მოსახლეობის ცნობიერების და ჩართულობის ზრდას და სხვა.

პროგრამის დასახელება	კოდი 05 02 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება
			100,0
პროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ – დმანისის სამუსიკო სკოლა	
პროგრამის აღწერა და მიზანი		დმანისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „დმანისის სამუსიკო სკოლა“ და მასში შემავალი ორი ფილიალი. აღნიშნულ სკოლაში განათლებას იღებს 71 მოსწავლე. სკოლაში დასაქმებულია რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) სულ 16 თანამშრომელს. განათლების ხელშეწყობის პროგრამის მიზანია საფორტეპიანო კლასიკური მუსიკის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა, მონაწილეობის მიღება ფესტივალებში და კონკურსებში, მუსიკალურ-შემეცნებით წარმოდგენებში და სხვა. სამუსიკო სკოლის მიზანია მოსწავლეები აზიაროს ხელოვნების საფუძვლებს, გააცნოს და შეაყვაროს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა. ამისთვის დაგეგმილია მოსწავლეთათვის კულტურულ-შემეცნებითი ტურები, როგორც არის სხვადასხვა კულტურულ საღამოებზე დასწრება, თეატრის, ოპერისა და ბალეტის წარმოდგენების ხილვა და სხვა.	
მოსალოდნელი შედეგები		მოსახლეობის დაინტერესება, კულტურული დონის ამაღლება	

პროგრამის დასახელება	კოდი 05 02 03	საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება
			95,0
პროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ – დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური	
		ა(ა) იპ საბიბლიოთეკო სამსახურში შედის : საბავშვო ბიბლიოთეკა, სოფელ განთიადის ფილიალი, სოფელ ვარდისუბნის ფილიალი, სოფელ გომარეთის ფილიალი, სოფელ ამამლოს ფილიალის. საბიბლიოთეკო სამსახურში დასაქმებულია 13 ადამიანი, რომელიც ემსახურება ყველა ასაკის მკითხველს. წლის განმავლობაში წიგნიერების დონის გაზრდის მიზნით ტარდება	



